949

ᲣᲤᲐᲡᲝ

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებათა
და განკარგულებათა

კრებული

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ

№ 1 | Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР | 1949 Წ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲒᲕ.

1. ბრძანება № 3469—ქ. თბილისის ვაჟთა სკოლების მოსწავლეთა ტანსაცმელის ერთიანი ფორმის ტარების წესების შესახებ 2
2. ბრძანება № 3661—საქართველოს სსრ ზოგ სკოლაში მიჩურინული ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობის შესახებ. 4
3. ინსტრუქცია—სასკოლო ნაკვეთების მოსავლის აღრიცხვისა და შემოსავლის განაწილების შესახებ 14
4. ბრძანება № 124—ქ. ახალციხისა და ბორჯომის საბავშვო ბაღების მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ 19
5. დადგენილება—მოსწავლეთა მე-4 რესპუბლიკური სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციის შედეგებისა და მე-5 რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ 22
6. ბრძანება № 125—სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობაში არსებულ ზოგიერთ ძირითად ნაკლოვანებათა შესახებ 29
7. მითითებანი—საბავშო ბაღებში პირველადი აღრიცხვის ფორმების შევსების შესახებ 38

F1093

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 1949

ბრძანება № 3469

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 22 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის ვაჟთა სკოლების მოსწავლეთა ტანსაცმელის ერთიანი ფორმის ტარების წესების შესახებ

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ქ. თბილისის ვაჟთა სკოლების მოსწავლეთათვის შემოღებულია ტანსაცმელის ერთიანი ფორმა.

ტანსაცმელის ფორმად დაწესებულია ხალათი, შარვალი, ქუდი და ქამარი. I-VIII კლასების მოსწავლეთა ფორმა—ხალათი, შარვალი, ქუდი—ნაცრისფერია, ხოლო IX-XI კლასებისა კი—მუქი ლურჯი. ქამარი შავია თეთრი ბალთითა და სკოლის ნომრის ზედწარწერით, ქუდი თეთრი ყაითნით არის გაწყობილი და აქვს სათანადო ნიშანი (კოკარდა) სკოლის ნომრის ზედწარწერით.

მოსწავლე ვალდებულია ფორმას ერთიანად ატარებდეს, არაფორმის ტანსაცმელის ტარება ფორმის ტანსაცმელთან, ხალათისა, შარვლისა ან ქუდისა და ქამრის ტარება ცალცალკე,—აკრძალულია. ამასთან, სავალდებულოა მოსწავლეს ხალათის ღილები მთლიანად ჰქონდეს შებნეული, შარვალი დაუთოვებული და ბოლომდე ჩაშვებული, ქამარი მკვრივად და სწორად შემორტყმული, ქუდი დახურული პირდაპირ და არა ირიბად.

მაგრამ ქალაქ თბილისის მრავალ ვაჟთა სკოლაში ამ წესებს არ იცავენ, მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილი უწესრიგოდ ატარებს ფორმას: ზოგ მათგანს არ ხურავს ფორმის ქუდი სათანადო ნიშნით (კოკარდით); ზოგ არა აქვს ქამარი ბალთით და სკოლის ნომრის აღნიშვნით; მოსწავლეთა ერთი ნაწილი დაწესებული ფორმიდან მხოლოდ ქუდს ატარებს, ზოგს კი მარტო ხალათი აცვია ხშირად შარვალში ჩატანებული, ხალათზე ატარებენ არა სტანდარტულ ღილებს, ბევრი მოსწავლე დადის საყელო გახსნილი დაუთოვებელი შარვლით და უსუფთაოდ.

ყოველივე ეს პირველ რიგში იმის შედეგია, რომ სკოლის ხელმძღვანელობა მოსწავლეთა და მათ მშობელთა შორის არ ატარებს სათანადო ახსნა-განმარტებით საუბარს ფორმის შემოღების მიზნისა და მისი ტარების წესის შესახებ.

აღვნიშნავ, რომ ფორმას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლაში და სკოლის გარეთ მოსწავლეთა ქცევის მოწესრიგებისა და მათში დისციპლინიანობის, თავაზიანობისა და უფროსების წინაშე პასუხისმგებლობის აღზრდის თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე—ვბრძანებ:

1. დაევალოს სკოლის დირექტორს:

ა) კლასის ხელმძღვანელების საშუალებით აწარმოონ მოსწავლეებთან საუბრები ფორმის მნიშვნელობის შესახებ, დააწესონ მოსწავლეებზე სისტემატური ზედამხედველობა და არ დაუშვან მოსწავლეთა მიერ ფორმის ტარების წესების დარღვევა;

ბ) ერთიანად დარაზმონ მასწავლებელთა კოლექტივი ამ ამოცანის გარშემო, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მასწავლებელი უწევდეს კონტროლს მოსწავლეებს ფორმის სწორად ტარებაზე სკოლასა და სკოლისგარეშე და მოსწავლეთა მიერ ფორმის ტარების წესების დარღვევის შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ღებულობდეს სათანადო ზომებს;

გ) ფართო ახსნაგანმარტებითი მუშაობა გაშალონ მშობლებთან იმ მიზნით, რომ მშობლები აქტიურად ეხმარებოდნენ სკოლას მოსწავლეთა მიერ ფორმის წესიერად ტარების საქმეში.

2. მოსწავლეთა ფორმის სწორად ტარებისა და წესიერად ქცევაზე კონტროლის მიზნით, ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ დააწესოს ქალაქის უმთავრეს ქუჩებსა და საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში მასწავლებელთა მორიგეობა.

მორიგე მასწავლებლებმა მეორე დღესვე შეატყობინონ სათანადო სკოლათა დირექტორებს ფორმის ტარების წესების დამრღვევ მოსწავლის გვარი და სახელი.

3. ვავალებ სკოლების დირექტორებს, იმ მოსწავლეთა მიმართ, რომლებიც არასათანადოდ ატარებენ დაწესებულ ფორმას სკოლასა და ქუჩაში, იჩენენ უდისციპლინობას და სკოლისათვის სახელისგამტეხ საქციელს, დროულად მიიღონ დასჯის ძკაცრი ზომები.

4. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს, დაამუშაოს საკითხი მოსწავლეთა ქცევის წესებში დამატებით ერთიანი ფორმის ტარების წესის შეტანის შესახებ; აგრეთვე წახალისებისა და დასჯის ღონისძიებათა არსებულ მითითებებში შეიტანოს სათანადო მუხლი იმ მოსწავლეთა სასჯელის შესახებ, რომლებიც დადგენილი ფორმის ტარების წესებს არღვევენ.

5. ქ. თბილისისა და მისი რაიონების განათლების განყოფილებებმა მტკიცე კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე, 15 დეკემბერს წარმოუდგინონ სამინისტროს მასალები ქ. თბილისში ამ ბრძანების შესრულების მდგომარეობა-მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3661

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 27 დეკემბერი

საქართველოს სსრ ზოგ სკოლაში მიჩურინული ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ სკოლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა სწორად გაიგო ის ცვლილებები, რომელიც ბიოლოგიურ მეცნიერებაში ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ივლის-აგვისტოს სესიის შედეგად მოხდა:

მასწავლებელთა დიდი ნაწილი გაკვეთილებზე ბიოლოგიურ მასალას აშუქებს მიჩურინული მოძღვრების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ორგანიზმების გარემო საცხოვრებელ პირობებთან ურთიერთობის საკითხს, სწავლებას უკავშირებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ამოცანებს მოსწავლეებს აცნობს საბჭოთა ბიოლოგიური მეცნიერების მიღწევებს და საბჭოთა მოწინავე მეცნიერთა როლს ამ მეცნიერების განვითარების საქმეში, ატარებს ცდებსა და დაკვირვებებს, ექსკურსიებს კლასგარეშე მუშაობას და ზრდის მოსწავლეებში ინტერესს და მისწრაფებას ბიოლოგიის კურსის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისადმი.

სტალინირის ვაჟთა ქართული საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი ი. ლომიძე) ბოტანიკაში გავლილი მასალის საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებენ; ისინი თანმიმდევრულად და გააზრებულად ყვებიან გაკვეთილს,—გვიმრანაირთა წარმოშობისა და ქვანახშირის წარმოქმნის შესახებ. შეგნებულად განმარტავენ გვიმრების გამრავლებისა და განვითარების საკითხებს, გვიმრანაირთა წარმოშობას, წყალმცენარეების გამოსვლას ხმელეთზე და მათ შეგუებას ხმელეთის პირობებთან, მცენარეების დამტვერვისადმი შეგუებულობის საკითხებს (სპორიანი და ყვავილიანი მცენარეების შედარებისას) და სხვ.

ლაგოდეხის რაიონის აფენის საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეები (მასწ. ტ. ბრეგაძე) შეგნებულსა და დამაჯერებელ პასუხს იძლევიან მცენარეთა უჯრედოვანი აგებულების, თესლის აგებულებისა და მისი ნაწილების მნიშვნელობის შესახებ, სწორად განმარტავენ თესლის აღმოცენებისათვის საჭირო პირობებს, კარგად ერკვევიან ფესვთა სისტემის ტიპებში. ამ სკოლის IX კლასის მოსწავლეებს შეგნებულად აქვთ შეთვისებული დარვინის მოძღვრების ძირითადი დებულებანი; ისინი სწორად განმარტავენ ორგანიზმთა ცვალებადობასა და მემკვიდრეობას, ბუნებრივ და ხელოვნურ შერჩევას, არსებობისათვის ბრძოლისა და სახეობათა წარმოქმნის საკითხებს, დარვინისა და ლამარკის მოძღვრების შეფასებისას მასწავლებელს სწორად გამოუყენებია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებები: მოსწავლეები სწორად აღნიშნავენ ლამარკის მოძღვრების პროგრესიულ მხარეს და ამბობენ, რომ ორგანიზმები იცვლებიან გარემო პირობების ზეგავლენით და, რომ ეს ცვლილებები მემკვიდრეობითია და სხვ.

გორის რაიონის დიდი მეჯვრისხევის საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეები (მასწ. ნ. გურგენიძე) კარგად ერკვევიან ფოთლის ფიზიოლოგიის საკითხებში; სათანადოდ იციან ქლოროფილის მნიშვნელობა სახამებლის წარმოქმნაში და სინათლის როლი ფოტოსინთეზის პროცესში; იციან, რომ სინათლის მნიშვნელობა ფოტოსინთეზის პროცესისათვის შეისწავლა კ. ა. ტიმირიაზევმა და სხვ. მასწავლებელმა ახალი მასალა „მწვანე ნარგაობის მნიშვნელობა ჯანმრთელობისათვის“ ახსნა მეტად გასაგებად; შეეხო ამ ნარგავების მნიშვნელობას, მთავრობის ღონისძიებებს ნარგავების გაფართოვებისა და დაცვის საქმეში, საზოგადოება „ტყის მეგობრის“ მნიშვნელობას, მოსწავლეთა როლს მწვანე ნარგაობათა მოვლა-დაცვის საქმეში და სხვ. ამ სკოლაში მიმდინარე წლის გაზაფხულზე სკოლის ეზოში მოსწავლეთა მიერ დარგულია 60 ძირი ალვის ხე, 101 ძირი აკაცია, სასკოლო ნაკვეთზე—50 ძირი ვაშლისა და მსხლის ხე, ხოლო სასკოლო ნაკვეთის ირგვლივ ცოცხალი ღობისათვის დაირგო 2016 ძირი ფშატის ნერგი.

ამავე რაიონის პატარა მეჯვრიხევის რვაწლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა (მასწ- მ. ხომასურიძე) კარგად იციან გავლილი მასალა ჩაისებრთა, ტეგანისებრთა ოჯახში შემავალი მცენარეების შესახებ, ასევე კარგად იციან მათი რაიონის წამყვანი კულტურის შაქრის ჭარხლის, როლი ჩვენს სახალხო მეურნეობაში, მათი მოვლა-პატრონობის ელემენტარული წესები (სასუქების შეტანა, მარგვლა, ნიადაგის გაფხვიერება და სხვ.) და ამ კულტუ-

რათა განვითარება მეოთხე სტალინურ ხუთწლედში. სწავლების პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის შედეგად ამ სკოლის მოსწავლეებმა იციან ბორდოს სითხის დამზადება ვაზის ავადმყოფობათა წინააღმდეგ, მყნობის სხვადასხვა წესი, ხეხილის რგვის წესი და სხვ. ამ სკოლაში კარგად მუშაობს ნორჩ მიჩურინელთა წრე; VIII კლასის მოსწავლე ვ. გოგიტაშვილმა საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთზე დაამყნო 50 ძირი ხეხილი, დარგო 20 ძირი, გადაწვენით გაამრავლა 300 ძირი ვაზი. მოსწავლე რ. ილურიძემ ამყნო 16 ძირი ატამი, 5 ძირი ვაშლი, გადააწვინა 130 ძირი ვაზი და დარგო 5 ძირი თუთა; სკოლამ სახელმწიფოს ჩააბარა 122 კილოგრამი ვაშლი, 48 კილოგრამი მსხალი, 15 ფუთი სიმინდი და სხვ. ასევე კარგად მუშაობს საგარეჯოს რაიონის სართიჭალის, ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის, დუშეთის რაიონის ჭოპორტის რვაწლიანი და ზოგიერთი სხვა სკოლები.

მიუხედავად ამისა, შემოწმებულ სკოლებში მიჩურინული ბიოლოგიის სწავლებას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი ახასიათებს: ბევრ სკოლაში ბიოლოგიას ასწავლიან ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე, ფორმალურად, ცხოვრებასთან და ბუნებასთან კავშირის გარეშე, იმ ინტერესისა და ამოცანების გაუთვალისწინებლად, რომელიც დღეს სკოლაში ბიოლოგიის სწავლების წინაშე სდგას. ზოგან ბიოლოგიის კურსის და განსაკუთრებით დარვინიზმის საფუძვლების სწავლება ჯერ კიდევ არ არის გამხდარი იმ საშუალებად, რომელმაც აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლეებში დიალექტიკურ მატერიალისტური მსოფლმხედველობის ფორმირებას.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ იცნობს ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სესიის მასალებს, აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მოხსენებას—„მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში“, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებს მიჩურინული ბიოლოგიის სწავლების გარდაქმნის შესახებ საშუალო სკოლაში, გაზეთ „სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნებულ მასალებს ბიოლოგიის სწავლების აქტუალური საკითხების შესახებ და სხვ.

ზნაურის რაიონის ავნევის, სტალინირის რაიონის ქსუისის, ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის საშუალო, ჯავისა და მცხეთის რაიონების რვაწლიან და საშუალო სკოლებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი ბიოლოგიის სწავლების შესახებ ნოემბრის ბოლო რიცხვებისათვის არ იყო განხილული და მაშასადამე, არც სათანადო ღონისძიებები იყო დასახული.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონების განათლების განყოფილებებმა დროულად ვერ უზრუნველჰყვეს პროგრამებისა და სახელმძღვანელოების სკოლამდე დაყვანა. 1 ნოემბერს ამიღებული სახელმძღვანელო, „დარვინიზმის საფუძვლები", 27 ნოემბერს სტალინირის სახელგამის საწყობში ეწყო და გარდა ლენინგორის რაიონისა, არც ერთ რაიონს ეს სახელმძღვანელო გატანილი არ ჰქონდა.

ბიოლოგიის ზოგიერთი მასწავლებელი არ ემზადება გაკვეთილე, ბისათვის, სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ უკავშირებს სწავლებას სოცმშენებლობის საკითხებს და მიწის ნაკვეთზე პრაქტიკულ მუშაობას, არ იცნობს არსებულ მეცნიერულ და მეთოდურ ლიტერატურას მიჩურინული ბიოლოგიის საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით და სხვ.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობას წლიურ კალენდარულ გეგმებში არა აქვთ მოცემული პროგრამით გათვალისწინებული ექსკურსიები, საჭირო დიდაქტიკური ხელსაწყოები და სხვ.

ჯავის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს მ. რ. ტასოევას სრულიად არა აქვს შედგენილი IV კლასის წლიური კალენდარული გეგმა; ამ კლასში ის ბუნებისმეტყველებას ოთხი წლის წინად ხმარებიდან ამოღებულ ტეტიურევის სახელმძღვანელოს მიხედვით ასწავლის: ამ მასწავლებელს VI კლასში გეგმის მიხედვით მცენარეთა სქესობრივი გამრავლების გავლა გაუთვალისწინებია ვეგეტატიური გამრავლების წინ, ხოლო მცენარეთა ოჯახების შესწავლა სპორიანი მცენარეების შემდეგ; გეგმაში სრულებით არ არის გათვალისწინებული თემის, „უმაღლესი სპორიანი მცენარეების", შესწავლა: ნაგულისხმევია ისეთი მასალის გავლაც, რომელიც დიდი ხანია რაც პროგრამიდან ამოღებულია. მაგალითად, მღიერები, ოჯახები, ბაიასებრი, ქოლგოსანი, ტირიფისებრი, ტეჩოსანი, რთულყვავილიანი და შროშანისებურნი: VII კლასში ასწავლის არა საპროგრამო მასალას,—„ღრუბელთა და კალეკნიანთა ტიპის ცხოველები": VIII კლასის მასალაში—„ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია"—გეგმაში გამოტოვებულია ორი თემა „შინაგანი სეკრეცია" და „ნივთიერებათა ცვლა". დარვინიზმის საფუძვლების გეგმა შედგენილია ბელიაევის სახელმძღვანელოს „ევოლუციური მოძღვრების" მიხედვით, რომელიც ამოღებულია ხმარებიდან.

ასეთივე დეფექტები ახასიათებს სტალინირის ვაჟთა რუსულ და ზნაურის რაიონის ავნევის საშუალო სკოლების ბიოლოგიის მასწავლებლების სამუშაო გეგმებსაც.

ზოგი მასწავლებლის სუსტი მუშაობის შედეგად მოსწავლეები ვერ იჩენენ გავლილი მასალის ცოდნას და ვერ ერკვევიან ბუნებრივ მოვლენათა ელემენტარულ კანონზომიერებაში: ზნაურის რაიონის ავნევის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა (მასწ. გეგელაშვილი) ვერ დაასახელეს ძაღლყურძენისებურთა ოჯახში შემავალი მთავარი მცენარეები; არ იციან მნიშვნელოვანი მცენარეების სარგებლობა ადამიანისათვის. მათი გავრცელების რაიონები ჩვენში, მათი მოვლა და სხვ. მასწავლებელს IX კლასში თემის, „დარვინის მოძღვრების ძირითადი დებულებები", გავლისას არ დაუმუშავებია ამ მოძღვრების ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიცაა მემკვიდრეობა, არსებობისათვის ბრძოლა, სახეობათა წარმოქმნა, დარვინის და ლამარკის მოძღვრებათა შეფასება და სხვ.

სტალინირის ვაჟთა საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეები (მასწ. დ. გაზოევა) გაკვეთილს ჰყვებიან ზეპირად, გაუაზრებლად; ლაპარაკობენ იმ საკვები მარილების შესახებ, რომელთაც მცენარე ნიადაგიდან იღებს, ხოლო ეს მარილები (კალიუმის, ფოსფორის, ზოტის) მათ არ უნახავთ; ვერ განმარტეს ფესვთა ტიპები, ფესვის სახეცვლილებანი, ფესვის ბუსუსების მდებარეობა და მნიშვნელობა. ნიადაგის შედგენილობა და ფიზიკური თვისებები: არ იციან ფესვების აგებულება; ისინი ლობიოს თესლის ლებნებს ჩანასახს არ აკუთვნებენ და სხვ. ამ სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა არ იციან რითი მრავლდება ქამასოკო, როგორ მიიღება პურის ობი, რომელი სპორიანი მცენარე შეისწავლეს, ბაქტერიების აგებულება, მათი მნიშვნელობა და სხვ. კლასში ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელმა საგნის უცოდინარობა გამოიჩინა, მან ვერ ახსნა ხავსების აგებულება და გამრავლება; ხავსის ჩაჩი შეადარა ფესვის შალითას. „Продросток"-ის მაგიერ ხმარობს „Пророжек"-ს, ვერ მოძებნა მსგავსი ნიშნები, რომ დაედგინა ხავსების წარმოქმნა წყალმცენარეებისაგან; მოსწავლის შეკითხვაზე, თუ რას წარმოადგენს ხავსი (გუგულის სელი), მასწავლებელმა უპასუხა: „რაც დახატულია დაფაზე, ვერ ხედავ!" (то, что нарисовано на доске, не видно!). დაფაზე მართლაც გაკრული იყო ერთი უხეირო სურათი, ხოლო ხავსის მცენარეები ყველა ნაწილებით (ჰერბარიუმის სახით) კაბინეტში 30 ცალი ეწყო. ამავე სკოლის VIII კლასის მოსწავლეები (მასწ. ფ. ჩელეხსაევი) პირს სასუნთქ ორგანოს აკუთვნებს, მისი აზრით ჰაერი პირიდან და ცხვირიდან პირდაპირ ფილტვებში ჩადის. არ იციან, თუ როგორ ხდება ფილტვებში გაზთა ცვლა; ვერცერთმა მოსწავლემ ვერ გასცა პასუხი იმაზე, თუ საიდან ჩნდება ფილტვებში CO_2

ზოგმა ვერ დაასახელა ზემო და ქვემო კიდურების ძვლები, ვერ ახსნეს სისხლის მნიშვნელობა ორგანიზმისათვის, არ იციან გულის ნაწილები, სისხლის ძარღვები, არტერიებისა და ვენების დანიშნულება; წარმოდგენა არა აქვთ სისხლის მიმოქცევის წრეებზე და სხვ. IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან, თუ რა არის პალეონტოლოგია და რისთვის არის საჭირო პალეონტოლოგიური მონაცემები. ვერ დაასახელეს დარვინის შრომები, არ იციან დარვინის მოგზაურობის მარშრუტი, დარვინის მოძღვრების ძირითადი დებულებანი, წარმოდგენა არა აქვთ ბუნებრივსა და ხელოვნურ შერჩევაზე, შეკითხვაზე, თუ ვინ დაასახელებს ბუნებაში ორგანიზმების შემგუებლობის მაგალითებს, ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი.

მცხეთის რაიონის ბიწმენდის რვაწლიანი სკოლის (მასწ. ქ. მეძველია) V კლასის მოსწავლეებმა არ იციან ბოტანიკის შესწავლის მნიშვნელობა ადამიანისათვის, თესლის აღმოცენებისათვის საჭირო პირობები, ლებნების მნიშვნელობა; არ იცნობენ თესვის წესებს. მასწავლებელი არ ატარებს ცდებს, დაკვირვებებს, ლაბორატორიულ მუშაობას, პროგრამით გათვალისწინებულ ექსკურსიებს, არ აწარმოებს ნაკვეთზე საცდელ მუშაობას და სხვ. ამავე რაიონის გალავნის საშუალო სკოლის IX კლასის მასწავლებელს ნ. თოდრიას დარვინიზმის საფუძვლების კურსის სწავლებისას მხედველობაში არა აქვს მიღებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებები. მან შიგა სახეობითი ბრძოლა არსებობისათვის მოსწავლეებს აუხსნა სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით; ამის გამო ახალ სახეობათა წარმოშობას მოსწავლეები ხსნიან შინასახეობათა ბრძოლის შედეგად, რაც, მათი აზრით, გამოწვეულია საარსებო პირობების კონკურენციით (ძველი ახსნა ამ საკითხებისა), მათ არა მიჩურინულად განმარტეს ცვალებადობის საკითხი (განუსაზღვრელი) და სხვ.

საგარეჯოს რაიონის ხაშმის საშუალო სკოლის VI კლასის (მასწ. ქ. კახაია) მოსწავლეებმა არ იციან იაროვიზაციის საკითხები, არ იცნობენ მიჩურინულ მეთოდით მომუშავე ქართულ სელექციონერებს; მასწავლებელს საცდელ ნაკვეთზე არავითარი პრაქტიკული მუშაობა არ ჩაუტარებია. ამ სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა ვერ განმარტეს ორგანული სამყაროს წარმოშობა მატერიალისტური გაგებით, არ იციან დარვინის მოძღვრების ძირითადი დებულებანი. ვერ ერკვევიან მის მოძღვრების პროგრესულ მხარეში და სხვ.

ბიოლოგიის სწავლების საქმეში არსებული ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ:

ა) ბიოლოგიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი გულდასმით არ ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის, არ აწყობს ექსკურსიებს, სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებას, სასკოლო მიწის ნაკვეთებს და არ იცნობს განათლების სამინისტროს მითითებებს მიჩურინული ბიოლოგიის სწავლების შესახებ საშუალო სკოლაში;

ბ) ღარიბია სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზა; შემოწმებული სკოლების ბიოლოგიური კაბინეტების მოწყობილობა მხოლოდ მიკროსკოპით, რამდენიმე ტაბულით და პრეპარატით განისაზღვრება, თვითნაკეთი ხელსაწყოები სკოლებს სრულებით არ გააჩნია; ბევრ სკოლას კაბინეტებისათვის საკუთარი ბინა არა აქვს;

გ) ზოგ საშუალო სკოლას დღემდე არა აქვთ გამოყოფილი სასკოლო ნაკვეთი, ზოგან ნაკვეთები არის, მაგრამ ისინი სასწავლო მიზნით გამოუყენებელია; სკოლებში არასაკმაოდ არის გაშლილი ნორჩნატურალისტ-მიჩურინელთა წრეების მუშაობა;

დ) პირველ სამ კლასში უგულებელყოფილია ბუნებისმეტყველების ელემენტების სწავლება მშობლიურ ენასთან დაკავშირებით, ზოგიერთი მასწავლებელი არ იცნობს ამ მიმართულებით ჩვენი პროგრამების მოთხოვნილებას; ქართული ენის კალენდარულ გეგმებში ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიისა და ისტორიის საკითხები ასახული არ არის. სტალინირის რუსული საშუალო სკოლის მეორე კლასის მასწავლებელმა ახალი მასალა,—„შემოდგომა", ვერ გამოიყენა იმისათვის, რომ მოსწავლეებისათვის გაეცნო წლის დროები და შემოდგომის თვეები, შემოდგომის დამახასიათებელი ნიშნები და სხვ;

ე) ზოგან მასწავლებელთა შორის არასწორად არის განაწილებული გაკვეთილები; ასე, მაგალითად, სტალინირის ვაჟთა საშუალო სკოლაში ბიოლოგიის 15 გაკვეთილი მიცემული აქვს ორ მასწავლებელს, სტალინირის რუსული საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი ჩელეხსაევა და ზნაურის რაიონის ავნევის საშუალო სკოლის მასწავლებელი გეგელაშვილი შეთავსებით ასწავლიან არითმეტიკასაც; მცხეთის რაიონის ბიწმენდის რვაწლიან სკოლაში ბიოლოგიას ასწავლის ისტორიკოსი;

ვ) ზოგ სკოლაში დირექციის მხრივ სუსტია ხელმძღვანელობა და კონტროლი ბიოლოგიის მასწავლებლების მუშაობაზე. ასე მაგალითად, ავნევის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს მიმდინარე სასწავლო წელს ბიოლოგიაში არცერთი გაკვეთილი არ მოუსმენია; ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ჯავისა და ქსუისის საშუალო სკოლებში.

რის გამოსწორებისათვის ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განყოფილებათა გამგეებს:

ა) 10 დღის ვადაში შეამოწმონ ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოების, პროგრამებისა და სხვა სასწავლო ნივთების რაიონებსა და სკოლებს შორის განაწილების საქმე და უზრუნველჰყონ მათი დროულად დაყვანა სკოლებამდე;

ბ) საჭირო ზომები მიიღონ სასწავლო კაბინეტების შევსებამოწყობისათვის მათ მოვლა-შენახვას და სწავლებაში გამოყენებას მიაქცეონ ჯეროვანი ყურადღება;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლებისათვის საცდელი ნაკვეთების გამოყოფისათვის და უზრუნველჰყონ სკოლასთან არსებული მიწის ნაკვეთების კეთილმოწყობა და სასწავლო მიზნით გამოყენება;

დ) 10 დღის ვადაში შეამოწმონ ბიოლოგიის მასწავლებელთა შორის საგნებისა და გაკვეთილების განაწილება და არ დაუშვან საბუნებისმეტყველო საგნების არასპეციალისტების მიერ სწავლება;

ე) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლების მუშაობაზე, სისტემატურად შეამოწმონ სკოლებში ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი ბიოლოგიის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

2. დაევალოს სკოლის დირექტორებს და სასწავლო ნაწილის გამგეებს:

ა) 1949 წლის 15 იანვრამდე პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე განიხილონ აკად. ლისენკოს მოხსენება „მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში“ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებები ბიოლოგიის სწავლების გარდაქმნის შესახებ მიჩურინის მოძღვრების საფუძველზე და დასახონ საჭირო ღონისძიებები ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესებისათვის;

ბ) 1949 წლის 3 იანვრამდე უზრუნველჰყონ მასწავლებლების მიერ საგნის წლიური კალენდარული გეგმების, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბუნებისმეტყველების პროგრამებისა და მითითებების შესაბამისად, გადამუშავება და სისტემატურად გაუწიოს კონტროლი გეგმების დროულად და ხარისხობრივად შესრულებას;

გ) სისტემატურად მოისმინონ ბიოლოგიის მასწავლებელთა გაკვეთილები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გაკვეთილზე თვალსაჩინოებისა და ექსპერიმენტის გამოყენებას, დაკვირვებების მოწყობას, სასწავლო მასალის კავშირს პრაქტიკასთან და სოცმშენებლობის საკითხებთან, საბუნებისმეტყველო რვეულების სწორ წარმოებას და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურ შეფასებას;

დ) უზრუნველჰყონ სკოლებთან არსებული მიწის ნაკვეთების კეთილმოწყობა და სასწავლო მიზნით გამოყენება, დაიხმარონ ამ საქმეში სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, აგრონომები და მკვიდრი საფუძველი შეუქმნან მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო ჩვევებით შეიარაღების საქმეს, დროულად შეადგინონ ნაკვეთის გეგმები და ეხლავე ჩაატარონ სამზადისი საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

3. ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა თანმიმდევრულად გადასცენ სასწავლო მასალა და ყურადღებით მოეკიდონ მისგან გამომდინარე სააღმზრდელო მომენტებს, გაკვეთილზე გამოიყენონ თვალსაჩინოება, დააყენონ ცდები და დაკვირვებები, სისტემატურად იმეორონ გავლილი მასალა, მოაწყონ ექსკურსიები, ჩამოაყალიბონ ნორჩ მიჩურინელთა (ნატურალისტთა) წრეები, გაამდიდრონ კაბინეტები თვითნაკეთი ხელსაწყოებით და შეგროვილი მასალებით, მოაწყონ ცოცხალი კუთხე ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებით სრულ წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა რვეულები და მიაღწიონ მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის შეგნებულად და მაღალხარისხოვნად შეთვისებას.

4. დაწყებითი სკოლის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მშობლიური ენის სწავლებასთან დაკავშირებით ბუნებისმეტყველების ელემენტების გაშუქებას, პროგრამების მოთხოვნილებათა შესაბამისად; ქართული ენის კალენდარულ გეგმებში ასახონ საბუნებისმეტყველო მასალა და იბრძოლონ მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

5. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავისა და სტალინირის ვაჟთა საშუალო სკოლის IV კლასის და ოლქის რუსული სკოლების ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა შეწყვიტონ ძველი პროგრამითა და ტეტიურევის სახელმძღვანელოთი მუშაობა და 1949 წლის 13 იანვრიდან მუშაობა აწარმოონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პროგრამებითა და სტატკინის „ველ-ცოცხალი ბუნების“ სახელმძღვანელოთი.

6. ბიოლოგიის მასწავლებლებმა გააძლიერონ მუშაობა თაეისთავზე, შეიარაღდნენ მიჩურინულ ბიოლოგიაზე არსებულ ლიტე-

ტურით, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებით, მეცნიერულ და მეთოდური ლიტერატურით და სისტემატურად აიმაღლონ თავისი მეცნიერულ-თეორიული და პოლიტიკური ცოდნა.

7. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორს, ამხ. დ. ლორთქიფანიძეს 1949 წლის 15 მაისამდე გამოსცეს მიჩურინული ბიოლოგიის შესახებ, 1948 წელს დამზადებული პედაგოგიკური და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა.

8. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს: ბიოლოგიის მასწავლებელთა შორის გააძლიეროს სემინარული მუშაობა, ხშირად მოაწყოს ლექციები, კონსულტაციები ბიოლოგიის სწავლების საკითხებზე და უზრუნველჰყოს ინსტიტუტის ნაკვეთის მაქსიმალურად გამოყენება მასწავლებელთა კადრების დახელოვნების საქმეში.

9. ეს ბრძანება 1949 წლის 13 იანვრამდე განხილულ იქნას ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დასახულ იქნას სათანადო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ.
საქ. სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე
11. II. 49.

ინსტრუქცია

სასკოლო ნაკვეთების მოსავლის აღრიცხვისა და შემოსავლის განაწილების შესახებ

დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებთან არსებულ მიწის ნაკვეთებს მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო დანიშნულება აქვს და მათ სხვა მიზანი არ შეიძლება დავუსახოთ. მაგრამ ზოგჯერ ამ ნაკვეთების ფართობი იმდენად დიდია, რომ ის სკოლას აძლევს (სასწავლო მიზნების შეულახავად) გარკვეულ მოსავალს და მისი რეალიზაციის შედეგად ძიღებულ ერთგვარ შემოსავალს.

სასკოლო ნაკვეთების მოსავლის სწორად აღრიცხვისა და შემოსავლის სათანადოდ განაწილების მიზნით, დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დარექტორებმა და განათლების განყოფილებათა გამგეებმა მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. მოსავლის აღრიცხვა

1. მოსავლის აღრიცხვა ყველა სკოლაში, სადაც ნაკვეთი არსებობს, უნდა სწარმოებდეს:

ა) იმ კულტურებისა, რომლებიც ერთდროულად შემოდის (სიმინდი, კარტოფილი, ხორბალი, ვაზი, ტექნიკური კულტურები და სხვ.)—მათი საბოლოოდ აღებისას;

ბ) ისეთი კულტურებისა, რომლებიც თანდათანობით იძლევიან მოსავალს—სისტემატურად.

2. საბოლოოდ მოსავლის აღრიცხვა უნდა სწარმოებდეს შემდეგი ფორმების მიხედვით:

ა) მარცვლეული და ტექნიკური კულტურებისა:

№№ რიგზე	მარცვლეულთა და ტექნიკურ კულტურათა დასახელება	ნაკვეთურის ფართობი კვ. მეტრებში	როდის მოხდა მოსავლის აღება	ნაკვეთურზე აღებული მოსავლის წონა კგ-ში	მოსავალი ერთ ჰექტარზე (ცენტნერებში)	ნაკვეთურზე აღებული ჩალისა და ბზის რაოდენობა კილოგრამებში ან კონებში
1	ხორბალი					
2	სიმინდი					
3	ქერი					
4	შაქრის ჭარხალი					

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ბოსტნეული კულტურებისა:

№№ რიგზე	ბოსტნეულის დასახელება	ნაკვეთურის ფართობი კვ. მეტრებში	მოსავლის აღება		ნაკვეთურზე აღებული მოსავლის საერთო წონა კგ.	მოსავალი ერთ ჰექტარზე (ცენტნერებში
			დასაწყისი	დასასრული		
1	კომბოსტო					
2	პამიდორი					
3	კიტრი					
4	ბადრიჯანი					
5	ხახვი					
	და ა. შ.					
	ს უ ლ:					

გ) ხეხილისა:

№№ რიგზე	ხეხილის დასახელება	ფართობის რაოდენობა კვ. მეტ-ში	რამდენი ძირია	მოსავლის აღების დრო	მოსავლის რაოდენობა
1	ვაშლი				
2	მსხალი				
3	ატამი				
4	ჭერამი				
5	ქლიავი				
6	ვაზი				
	და ა. შ,				
	ს უ ლ :				

II. მოსავლის რეალიზაცია და შემოსავლის განაწილება

1. პირველ რიგში ნაკვეთის მოსავლიდან უნდა გამოიყოს საჭირო რაოდენობით საუკეთესო სათესლე მასალა შემდეგი წლისათვის და სათანადო წესით იქნეს იგი შენახული და მოვლილი.

2. სათესლე მასალის ფონდის გამოყოფის შემდეგ დარჩენილ მოსავლის რეალიზაციას სკოლა ახდენს სამომხმარებლო კოოპერაციის ფასებში.

ა) შემოსავალი უნდა აღირიცხოს და გაფორმდეს შემდეგი სახით:

№№ რიგზე	სარეალიზაციო პროდუქტის დასახელება	პროდუქტის რაოდენობა კგ-ში	სარეალიზაციო ფასი			პროდუქტის მიმღების ხელისმოწერა და მისამართი
			კგ-ის	სულ		
				მან.	კაპ.	
1	ვაშლი					
2	სიმინდი					
3	მანდარინი					
4	კომბოსტო					
5	პამიდორი					
6	და სხვ.					
	სულ:					

3. ნაკვეთის მოსავლის რეალიზაციის შედეგად მიღებული ფულადი შემოსავლის 20% უნდა მოხმარდეს ღარიბ მოსწავლეებს სასწავლო ნივთების შესაძენად და ნაკვეთზე ბეჯითად მომუშავე, კარგი წარმატების მოსწავლეების დაჯილდოებას, ხოლო დანარჩენი ნაწილი ნაკვეთის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს. კერძოდ, იქ, სადაც ნაკვეთის ფართობი ერთი ჰექტარია, ან მეტი, სკოლას შეუძლია ამ შემოსავლის ანგარიშში იყოლიოს ნაკვეთის გამგე და მებაღე (მთელ შტატში ან შეთავსებით), შემოღობოს და დაამუშაოს ნაკვეთი, შეიძინოს ნაკვეთის დასამუშავებელი ხელსაწყო იარაღები, სათესლე, გასანოყიერებელი და სხვა მასალები, გაწიოს ნაკვეთის დაცვასთან და ნაკვეთის კეთილმოწყობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ამის შემდეგ შემოსავლის დარჩენილი ნაწილი უნდა მოხმარდეს სასკოლო კაბინეტების და, პირველ რიგში, ბიოლოგიის კაბინეტის ხელსაწყოებით და მასალებით შევსებას და გამდიდრებას.

ნაკვეთის შემოსავალ-გასავლის ანგარიში უნდა სწარმოებდეს ცალკე, სკოლის სპეციალური სახსრების ხაზით.

III. ანგარიშიანობა განათლების განყოფილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე

1. დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორები (გამგეები) ყოველი წლის ბოლოს, არაუგვიანეს პირველი დეკემბრისა, უდგენენ რაიონის განათლების განყოფილებას სკოლის ნაკვეთზე მოსავლის აღების ანგარიშს შემდეგი ფორმის მიხედვით (ფორმა 1):

ფორმა № 1

. . . . . დაწყებითი, რვაწლიანი, საშუალო სკოლის ნაკვეთის შემოსავალი 194 . . წ.

ნაკვეთის საერთო ფართობი ჰექტარებში . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	კულტურის დასახელება	ფართობი ჰექტარებში	რაოდენობა	მოსავალი კგ-ში	მიღებულია რეალიზაციის შედეგად			
					ერთ კილოგრამში		სულ	
					მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1	კომბოსტო							
2	პამიდორი							
3	სიმინდი							
4	ვაშლი							
5	კარტოფილი							
	და ა. შ.							
	სულ							

2. ამის გარდა სამეურნეო წლის ბოლოს სკოლა უდგენს განათლების განყოფილებას შემოსავალ-გასავლის ანგარიშს ნაკვეთის სპეციალური სახსრების შესახებ შემდეგი ფორმის მიხედვით: (ფორმა № 2)

ფორმა № 2

სოფ. (ქალ.)) . . . . . სკოლის მიწის ნაკვეთის შემოსავლიდან გაწეული ხარჯების ანგარიში

ნაკვეთის შემოსავალი სულ . . . . . .

№№ რიგზე	რაში იქნა ხარჯები გაწეული (ინვენტარი, მასალა, სამუშაო ძალა და სხვ.)	რაოდენობა (ცალობით, კილოგრამობით)	ფასი			
			ერთეულის		სულ	
			მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1	ბარი					
2	თოხი					
3	მინერალური სასუქი					
4	თესლი					
	და სხვ.					

3. რაიონის განათლების განყოფილებანი, თავის მხრივ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველი ახალი წლის 10 იანვრისათვის უდგენენ წლიურ ანგარიშს შემდეგი ფორმით (ფორმა № 3):

ფორმა № 3

. . . . . რაიონის სასკოლო მიწის ნაკვეთების შემოსავალი 194 . . წელს.

. . . . . რაიონი, დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების რაოდენობა რაიონში . . . . . სასკოლო ნაკვეთი აქვს სულ . . . . . სკოლას, მათგან დაწყებით სკოლას . .

F1093

. . . . . რვაწლიან სკოლას . . . . . საშუალო სკოლას . . . . ნაკვეთების საერთო ფართობი ჰექტარებში . .

№№ რიგზე	კულტურების დასახელება	ფართობი ჰექტარებში	ძირების რაოდენობა (ხეხილის)	მოსავალი ცენტნერებში	შემოსავალი მანეთებში	
					მან.	კაპ.
1	სიმინდი					
2	ხორბალი					
3	ვაშლი					
4	მანდარინი					
	და ა. შ.					
	სულ:					

4. ამასთან ერთად სამინისტროს უნდა წარედგინოს რაიონის სკოლების ნაკვეთების შემოსავლიდან გაწეული ხარჯების ანგარიში მუხლობრივად შემდეგი ფორმით (ფორმა № 4):

ფორმა № 4

. . . . . რაიონის სასკოლო მიწის ნაკვეთების შემოსავლიდან გაწეული ხარჯების ანგარიში . . . . . რაიონის სასკოლო ნაკვეთების შემოსავალი . . . . . მან . . . . . კაპ

№№ რიგ.	რაში იქნა ხარჯები გაწეული (ინვენტარი, მასალა, სამუშაო ძალა და სხვ.)	რაოდენობა (ცალობით კილოგრამებით)	ფასი			
			ერთეულის		სულ	
			მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1	ბარი					
2	თოხი					
3	თესლი					
	და სხვ.					

5. მთელი პასუხისმგებლობა ნაკვეთის მოსავლის დროულად აღებისა, სწორად აღრიცხვისა და ნაკვეთის შემოსავლის დანიშნულების მიხედვით ხარჯვისა და აგრეთვე განათლების განყოფილებისათვის დაწესებულ ვადებში ანგარიშის წარდგენის საქმეში ეკისრება პირადად დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორს (გამგეს).

6. რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილების გამგე ვალდებულია შეამოწმოს სკოლების მიერ ნაკვეთების მოსავლის აღრიცხვისა და შემოსავლის განაწილების სისწორე, მიიღოს ზომები დამახინჯებათა აღკვეთისათვის და დაწესებულ ვადებში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ანგარიში ნაკვეთების მოსავლის აღრიცხვისა და შემოსავლის განაწილების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 124

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 24 იანვარი

ქ. ახალციხისა და ბორჯომის საბავშვო ბაღების მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ.

გავეცანი რა ქ. ახალციხისა და ბორჯომის საბავშვო ბაღების მუშაობის შესწავლის შედეგებს, აღვნიშნავ:

ქ. ახალციხის 1, 2, 3 და ბორჯომის 1-ლი საბ. ბაღები მოთავსებული არიან შესაფერის ბინებში, აღნიშნულ საბ. ბაღებში დაცულია სისუფთავე, შექმნილია მყუდრო და შესაფერისი გარემო ბავშვთა სწორი აღზრდა-განვითარებისათვის, სწარმოებს გეგმიანი აღმზრდელობითი მუშაობა, რის შედეგადაც დამაკმაყოფილებელია ბავშვების გონებრივი განვითარების დონე. კარგად არის დაყენებული მუსიკალური აღზრდა ბავშვებთან ქ. ახალციხის 1-ლსა და მე-2 საბ. ბაღებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქ. ბორჯომის 1-ლი საბ. ბაღის ექიმის კარგი მუშაობა ბავშვთა გაჯანსაღებისათვის და სხვა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა ქ. ქ. ახალციხის და ბორჯომის საბავშვო ბაღების მუშაობას ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

1. ქ. ბორჯომის მე-2 საბავშვო ბაღში ოთახების რემონტის გამო შეწყვეტილი იყო მუშაობა.

2. არ არის მოწყობილი ეზოები ფიზკულტურული იარაღებით. არ ეწყობა აგრეთვე ზაფხულობით ბაღბოსტანი ქ. ბორჯომის 1, 2 და ქ. ახალციხის მე-2 საბავშვო ბაღებში.

3. ქ. ახალციხის მე-3 და ქ. ბორჯომის 1 და 2 საბ. ბაღებში არასაკმარისი რაოდენობით არის მაგარი და რბილი ინვენტარი, აგრეთვე პედაგოგიური მუშაობის საწარმოებლად სასწავლო ნივთები და სათამაშოები.

4. ბავშვებში კულტ-ჰიგიენური ჩვევების შეგნებულ გამომუშავება-განმტკიცებისათვის მუშაობა სუსტად არის დაყენებული ქ. ბორჯომის 1-ლი და ქ. ახალციხის მე-3 საბავშვო ბაღებში, არ დგას სათანადო სიმაღლეზე ბავშვთა ფიზიკური გაჯანსაღების საქმე ქ. ახალციხის 1, 2, 3 და ქ. ბორჯომის მე-2 საბ. ბაღებში.

ბავშვების კვება ერთფეროვანი და უხარისხოა, არ ხდება კვების კოლორაჟის გამოანგარიშება ლაბორატორიული წესით, არ არის შედგენილი დღის რეჟიმი საბავშვო ბაღის სახელმძღვანელოს პრინციპების მიხედვით, არ არის მიმაგრებული აღნიშნულ საბავშვო ბაღებზე ექიმი და არც სწარმოებს ამ მხრივ შესაფერისი მუშაობა.

6. სკოლამდელი ბავშვის შემოქმედებითი უნარისა და აქტიურობის განვითარებისათვის მუშაობა არადამაკმაყოფილებელია ქ. ახალციხის 1, 2, 3 და ბორჯომის 1, 2 საბავშვო ბაღებში.

არასაკმაო რაოდენობით ეძლევა ბავშვებს სახვითი მოქმედიანობის ისეთი სახეები, როგორიცაა: ხატვა, ძერწვა, გამოჭრა-დაწებება და სხვადასხვა მასალებით მეცადინეობა.

7. არასაკმაო მუშაობაა ჩატარებული ბავშვებთან შრომითი ჩვევების გამომუშავებისა (მორიგეობა, ბუნების კუთხეში მუშაობა) გარემო ცხოვრებისა და ადგილობრივი ბუნების გაცნობისათვის ქ. ახალციხის 1, 2, 3 და ქ. ბორჯომის 1, 2 საბავშვო ბაღებში.

8. საბავშვო ბაღების პედაგოგები არ აწარმოებენ სათანადო სისტემატურ მუშაობას თავის თავზე სპეციალური კვალიფიკაციის— სკოლამდელთა აღზრდის საქმის დაუფლებისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

აქედან გამომდინარე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ქ. ახალციხის 1, 2,3 და ქ. ბორჯომის 1 და 2 საბავშვო ბაღების გამგეებს:

ა) უზრუნველჰყონ საბ. ბაღებში ბავშვთა ნორმალური დასწრება, მოაწესრიგონ ბავშვების ცხოვრება შესაფერისი გარემოს შექმნით, შეიძინონ საჭირო რაოდენობით რბილი და მაგარი ინვენტარი, სასწავლო ნივთები და სათამაშოები;

ბ) შრომითი ჩვევების გამომუშავებისა და დაკვირვებულობის აღზრდისათვის ბავშვებში, მოწყობილ იქნას ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში ბუნების კუთხეები და ბაღ-ბოსტანი ზაფხულის პერიოდში. ბავშვების ყურადღება მიმართულ იქნას აგრეთვე ისეთი საგნებისა და ბუნების მოვლენებისაკენ, რომლებიც დასაკვირვებლად ადვილია და ხელს შეუწყობს მათ შორის მიზეზობრივი კავშირის დამყარებას;

გ) გაღრმავებულ იქნას მუშაობა ბავშვებში მშობლიური მხარისადმი სიყვარულის გრძნობის აღზრდისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების, ადგილობრივი ბუნების და მხატვრული ლიტერატურის გაცნობით, ფოლკლორის გამოყენებით და სხვა.

გარემო-ცხოვრებაში ბავშვების სათანადოდ გარკვევის მიზნით, ასაკის გათვალისწინებით, პედაგოგებმა შეუქმნან ბავშვებს მრავალ-მხრივი ინტერესი, განუვითარონ ცნობისმოყვარეობა, აღზარდონ მათში დაკვირვებულობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) კალენდარული გეგმების შედგენისას, დაცულ იქნას მასალის სისტემატური და თანამიმდევრული მიწოდების პრინციპი;

ე) სათანადო ყურადღება მიექცეს საბ. ბაღებში ბავშვთა ფიზიკური გაჯანსაღების საქმეს, შედგენილ იქნას დღის რეჟიმი საბავშვო ბაღის სახელმძღვანელოს პრინციპების მიხედვით, გაუმჯობესებულ იქნას ბავშვების კვება და საექიმო მომსახურება, მოეწყოს ძილი, პირველ რიგში უმცროსი ჯგუფების ბავშვებისათვის.

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბავშვო ბაღებში სახვითი მოქმედიანობის ისეთი სახეების სისტემატურ ჩატარებას, როგორიცაა: ხატვა, ძერწვა, გამოჭრა-დაწებება, კერვა და სხვადასხვა მეცადინეობა.

2. დაევალოს საბავშვო ბაღების გამგეებს სისტემატურად იმუშაონ სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკის საკითხებზე და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე.

3. მიეთითოს ქ. ბორჯომის მე-2 საბავშვო ბაღის გამგეს. ლუბა სარდიონის ასულ თევზაძეს სუსტი მუშაობისათვის.

4. დაევალოს ქ. ბორჯომის და ახალციხის განათლების განყოფილების გამგეებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება საბავშვო ბაღებზე; ბავშვების კვებისა და საექიმო მომსახურეობის გაუმჯობესებით, მატერიალური ბაზის განმტკიცებით, საბავშვო ბაღების პედაგოგიური შემადგენლობისათვის კვალიფიკაციის ამაღლებით და სხვა.

5. ბორჯომის განათლების განყოფილებამ, საკითხის სათანადო ორგანოების წინაშე დასმით, გაანთავისუფლოს საბავშვო ბაღის შენობის ერთი ოთახი კერძო მობინადრეებისაგან.

6. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებას, გააძლიეროს ხელმძღვანელობა ქ. ახალციხისა და ბორჯომის საბავშვო ბაღების მუშაობაზე; პედაგოგიურ და მეთოდურ საკითხებზე კურს-კონფერენციის ჩატარებით, პროგრამული და მეთოდური ხასიათის მასალების მიწოდებით, მუშაობის შესწავლით პრაქტიკული დახმარების გაწევით და სხვა.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. დ. კუპრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაერთიანებული დადგენილება

მოსწავლეთა მე-4 რესპუბლიკური სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციის შედეგებისა და მე-5 რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავენ, რომ 1947-48 სასწავლო წელს ჩატარებულმა მეოთხე რესპუბლიკურმა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციამ, რომელშიც 3100 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობისა და ნიჭიერი ბავშვების გამოვლინების საქმეში. კონფერენციამ ხელი შეუწყო კლასგარეშე მუშაობის მასობრივ გაშლას, სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და გაფართოებას, ბავშვებში კვლევითი-შემოქმედებითი უნარის აღზრდას, ბუნების მოვლენებზე დაკვირვებათა წარმოებას, ხელსაწყოების თვითკეთებისა, საჯარო მოხსენებებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის პრაქტიკის განმტკიცებას, კონფერენციაში მონაწილე სკოლებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ქ. თბილისის მე-2, მე-4, მე-5 მე-6, 23-ე, 49-ე ქალთა, ვაჟთა პირველი, მე-3, მე-4, მე-6, მე-7, ქ. ქუთაისის ქალთა მე-5, მე-7, ვაჟთა მე-2, მე-8, ქ. ფოთის ქალთა, ვაჟთა, სიღნაღის ქალთა, თელავის პირველი ქალთა, დუშეთის რაიონის ანანურის, ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის, მახარაძის რაიონის სოფ. შემოქმედის საშუალო და ანასეულის რვაწლიანი, ქ. სოხუმის ქალთა მე 3 საშუალო სკოლები.

სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილე მოსწავლეებიდან გამოირჩეოდნენ:

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში:

1. ქ. თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის, მე-11 კლასის მოსწავლე ლალი ცქიტიშვილი (თემა: „კომკავშირელის სახე თანამედროვე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“).

2. ქ. თბილისის რკინიგზის ქალთა მე 8 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე რიმა მამალაძე („დაუვიწყარი შეხვედრები“).

3. ქ. თბილისის მე-7 ვაჟთა საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ოთარ ჭელიძე (საკუთარი ლექსები).

4. ქ. თბილისის მე-5 ქალთა საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ნანა ხატისკაცი (საკუთარი შემოქმედება).

5. ქ. თბილისის ვაჟთა I საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე დევი სტურუა (საკუთარი ლექსები).

6. ქ. თბილისის ქალთა მეორე საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე მერი ლითანიშვილი (თემა: „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან“).

7. ქ. თბილისის მე-7 ვაჟთა საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ანზორ სალუქვაძე (საკუთარი შემოქმედება).

8. ქ. ქუთაისის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე გენო ვაჩიბერიძე (თემა: „ბარათაშვილი და ჩვენი ეპოქა“).

9. ქ. ქუთაისის ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ბეჟან ბარდაველიძე (თემა—„ბავშვები გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“).

10. თელავის ქალთა პირველი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე თამილა სესიაშვილი (საკუთარი ლექსები).

11. სიღნაღის ქალთა საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ლამარა კიკილაშვილი (საკუთარი შემოქმედება).

12. ჭიათურის ქალთა პირველი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ეთერი გაფრინდაშვილი (თემა:—ბუნება ბარათაშვილის შემოქმედებაში“).

ბ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში:

1. ქ. თბილისის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ი. ჩერნიაევი (თემა: „კომკავშირელის სახე რუსულ საბჭოთა ლიტერატურაში“).

2. ქ. თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ნ. ხაზარაძე (თემა: „სამამულო ომი კ. სიმონოვის შემოქმედებაში“).

3. ქ. თბილისის ქალთა მე-4 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ი. ბატეევა (თემა: „ჩეხოვი ოპტიმისტი“).

გ) ფიზიკასა და მათემატიკაში:

1. ქ. თბილისის მე-7 ვაჟთა საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე გ. მხეიძე (თემა „სინათლის ბუნება“).

2. ქ. თბილისის მე-7 ვაჟთა საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე როლანდ კილაძე (თემა „ხაზების პარალელობა. სხვადასხვა გეომეტრიაში-“).

3. ქ. თბილისის მე-5 მოზრდილთა საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე კიმი კახელაძე (თვითნაკეთი რადიომიმღები).

4. ქ. ქუთაისის მე-7 ქალთა საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ე. ხონელიძე (თემა—„წყლის ენერგიის გამოყენება რაიონებში“).

5. მახარაძის ვაჟთა საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე რევაზ სურგულაძე („სინათლის ბუნება“).

დ) ქიმიაში:

1. ქ. თბილისის ვაჟთა საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ლევან ლომიძე (თემა: „რადიოაქტივობა“).

2. ქ. თბილისის 23-ე ქალთა საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ნუნუ ძოწენიძე (თემა—„საქართველოს ქიმიკოსთა მუშაობა“).

3. ქ. ფოთის ქალთა I საშ. სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე სულიკო მაშინაია (თემა: „ქიმიური მრეწველობა საქართველოში).

4. ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის საშ. სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ნათელა ფირცხალაიშვილი (თემა: „დადებითი და უარყოფითი ვალენტობა“).

ე) ისტორიაში:

1. ქ. თბილისის მე-2 ვაჟთა საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე არჩილ ასათიანი (თემა „ლენინი და სტალინი კომკავშირის შესახებ“).

2. ქ. თბილისის 46-ე ქალთა საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ლილი ლითანიშვილი (თემა „კომკავშირის სახელოვანი გზა“).

3. ქ. თბილისის მე-5 ქალთა საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე მზია კეცხოველი (თემა „ლადო კეცხოველის ცხოვრება და მოღვაწეობა“).

4. ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ცისანა ჭყონია (თემა „ი. ბ. სტალინი თბილისის სასულიერო სემინარიაში“).

5. ცაგერის რაიონის ლაილაშის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ბუდუ ჩაჩხიანი (თემა: „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბავშვობისა და მოწაფეობის წლები“).

6. ქ. თბილისის ქალთა მე-20 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ლეილა სულხანიშვილი (თემა „გმირი კომკავშირელები“).

7. ქ. თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე მარინე კეცხოველი (თემა „სამგორი“).

8. ქ. თბილისის მე-6 ვაჟთა საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ლევი ბერძენიშვილი (თემა: „დიდგორი“).

9. ქ. თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე დალი დანელია (თემა „საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან“).

10. ქ. თბილისის ვაჟთა 37-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გურამ მაისურაძე (თემა „ნარიყალა“).

11. ქ. თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ლია ზამთარაძე (თემა „რუსთავი“).

12. ქ. თბილისის ქალთა 22-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე მარიამ ფადეევა (თემა „მოგზაურობა მშობლიურ ქალაქში“).

13. სიღნაღის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე გურამ გოგორაშვილი (თემა „სიღნაღის ისტორიისათვის“).

14. ქ. ქუთაისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები პეტრე ვაჭარაძე და გენო ვაჩიბერიძე (თემა „მოწამეთი“).

15. ქ. მახარაძის ოსტროვსკის სახელობის ქალთა პირველი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე დომნა ჩებერიაკი (თემა—„ლიხაურის ციხის ისტორიისათვის“, თქმულება დედოფლის საყურეზე).

16. ტყიბულის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე მედეა ბოჭორიშვილი (თემა—„ტყიბული ძველად და ახლა“).

17. გეგეჭკორის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ვლადიმერ კორთხონჯია (თემა—„მარტვილის მონასტერი“).

18. ცაგერის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე აკაკი ჩიქოვანი (თემა—„ლეჩხუმის 1918 წლის გლეხთა აჯანყების ზოგიერთი მომენტი“).

ვ) ბუნებისმეტყველებაში:

1. ქ. თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე გია ცხვედაძე (თემა „კავთისხევის დღისა და ღამის პეპლები“).

2. ქ. ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ომარი ხაზარაძე (თემა „სიცოცხლის წარმოშობა“).

3. ქ. ქუთაისის ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე დურმიშხან ირემაშვილი (თემა „ტიმირიაზევის ცხოვრება და შემოქმედება“).

4. ქ. სოხუმის ქალთა მე-3 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გალინა შევჩუკი (თემა—„ლისენკო—საბჭოთა დარვინისტი“).

5. ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგოითის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე კლარა ცინცაძე (თემა—„ადამიანის სისხლი და მისი მიმოქცევის სისტემა“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) გეოგრაფიაში:

1. ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ელვინა ბერაძე (მოგზაურობის შთაბეჭდილებანი „თბილისი—ლუგელა“).

2. ქ. ქუთაისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ლეილა ჯავახაძე (თემა—„სათაფლია“).

3. სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ელენე დარჩიაშვილი (თემა—„ანაგის ფიზიკო-გეოგრაფიული მიმოხილვა“).

4. მახარაძის რაიონის შემოქმედის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე რევაზ ლომიძე (თემა: „მახარაძის რაიონის გეოგრაფია“).

5. მახარაძის რაიონის ანასეულის რვაწლიანი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე მიხეილ ჟუკოვსკი (ნარკვევი „ანასეული“).

6. სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის რვაწლიანი სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე ჯიმშერ დიდიძე (თემა: „ანარიის ჭაობი“)

7. ახალციხის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ანა კუზიკინი (თემა „ახალციხის დიატომიტის საბადოები“).

მოსწავლეთა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციისათვის მომზადების საქმეში განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაატარეს თბილისისა და ქუთაისის განათლების განყოფილებებმა. ქ. თბილისიდან წარმოდგენილი იყო 26 შრომა სხვადასხვა დისციპლინების მიხედვით და ქალაქ ქუთაისიდან 8 შრომა. ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს აგრეთვე სოხუმის, ფოთის, სიღნაღის, თელავის, მახარაძის, დუშეთის, ლანჩხუთის და ტყიბულის რაიონების განათლების განყოფილებებმა და კომკავშირის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა. რიგი რაიონები (ლაგოდეხი, თეთრიწყარო, ჩხოროწყუ, ადიგენი, ასპინძა, გარდაბანი, მარნეული, დმანისი, ბოლნისი, გურჯაანი, ახალქალაქი) სერიოზულად არ მოეკიდნენ მოსწავლეთა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებისათვის მომზადების საქმეს და არ გაშალეს ამ მხრივ საჭირო მუშაობა. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო

ადგენენ:

1. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას, საქალაქო და სარაიონო განყო-

ფილებათა გამგეებს და საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს:

ა) ფართოდ გააცნონ მოსწავლეთა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების პირობები და კონფერენციის არსებული დებულება რვაწლიანი და საშუალო სკოლების ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, მათემათიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მასწავლებლებს, სასკოლო კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს და უზრუნველჰყონ მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმა მე-5 სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციაში;

ბ) აწარმოონ სათანადო პროპაგანდა იმ მიმართულებით, რომ გადიდდეს ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო დარგის საკითხებზე მომუშავე მოსწავლეთა რიცხვი;

გ) მასწავლებელთა თათბირებზე განიხილონ საკითხი კონფერენციის ჩატარების შესახებ და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი;

დ) გამოყონ განათლების განყოფილებასთან კონფერენციისათვის მოსამზადებელი რაიონული კომისია კომკავშირის საქალაქო და სარაიონო კომიტეტების მონაწილეობით.

2. დაევალოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებისა და ნორჩ ტექნიკოსთა სარაიონო სადგურების დირექტორებს, გააუმჯობესონ ლიტერატურის, ისტორიის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, ნორჩ-მიჩურინელთა წრეების მუშაობა და დაუკავშირონ ის მოსწავლეთა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობისათვის მზადების საქმეს.

3. დაევალოს ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს მიავლინოს სპეციალისტები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ამ დარგში სკოლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

4. მოსწავლეთა მე-5 სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ განცხადებების მიღების უკანასკნელ ვადად დაწესდეს 1919 წლის პირველი მარტი, ხოლო მოსწავლეთა შრომების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად 1949 წლის 1-ლი ივნისი.

5. დაევალოს განათლების სამინისტროს საფინანსო განყოფილებას 1949 წლის ბიუჯეტში მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციის ხარჯებისათვის გაითვალისწინოს საჭირო თანხა.

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს კონფერენციის მონაწილე მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრების (ნარკვევები და სხვ.) კრებულის სახით გამოცემა, რისთვისაც გამოიყოს სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მ. ბურჭულაძე, მ. ჟორჟიკაშვილი, უშ. ობოლაძე,

ელ. აგლაძე, ქ. ანანიაშვილი, გ. ბარამიძე, ი. მიქელაძე, მ. მამფორია, მ. გეგეჭკორი, კ. ნოდია, ნ. ჯაფარიძე, შ. ცაგარეიშვილი, ვ. კობახიძე, ვ. კვიმსაძე, გ. ჯაფარიძე, ნ. კვინიკაძე, თ. ჯიქიძე, მ. ნოზაძე და გ. სუხიშვილი.

7. დაევალოს სარედაქციო კოლეგიას განიხილოს მოსწავლეთა ნამუშევრები და საბოლოოდ რედაქტირებული ჩააბაროს განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებას.

8. დაევალოს განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილების გამგეს, ამხ. დ. ჯავახიას, მიმდინარე წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანოს მოსწავლეთა სასწავლო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულის გამოცემა 10—15 ფორმის რაოდენობით.

9. დაევალოს განათლების სამინისტროს მატერიალური ფონდების განყოფილებას მოსწავლეთა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციის საჭიროებისათვის გამოეყოს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს 150 კილოგრამი ქაღალდი.

10. დაევალოს „სახალხო განათლების", „ახალგაზრდა კომუნისტის", „ნორჩი ლენინელის" და საბავშვო რადიოგადაცემის რედაქციებს, სისტემატურად გააშუქონ მოსწავლეთა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციის მიმდინარეობა.

11. დაევალოს განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა განყოფილებას სისტემატურად უხელმძღვანელონ მოსწავლეთა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციის მზადებისა და ჩატარების საქმეს.

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი
ვ. კუპრაძე.

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი მ. ზოდელავა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 125

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წ. 26 იანვარი

სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობაში არსებულ ზოგიერთ ძირითად ნაკლოვანებათა შესახებ

გამორკვევით დადასტურდა, რომ სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტში ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ (დირექტორი ამხ. ჯიოევი), წინა წლებთან შედარებით, მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ასე, მაგალითად, შესამჩნევად გარდაიქმნა კათედრების მუშაობა, პერიოდულად სწარმოებს კათედრის წევრთა ურთიერთდასწრება ლექციებზე და ცალკე სასწავლო დისციპლინებში პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვა, ამასთან გაუმჯობესდა სამეცნიერო საბჭოს მუშაობა. საბჭოს სხდომაზე განხილულია სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის აქტიური საკითხები. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი და სხვ.

მიუხედავად ამისა, სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტში სტუდენტთა დოკუმენტაციისა და სტიპენდიის დანიშვნის წესის დაცვის, სასწავლო-სამეცნიერო მუშაობისა და სტუდენტთა შორის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. არის შემთხვევები, რომ სტუდენტთა პირად საქმეებში შეტანილი არ არის შემსვლელის მიერ გამოცდებზე მიღებული ნიშნები. ასე, მაგალითად, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტ. სტუდენტ ფრ. სანაკოევს ჩაბარებული არა აქვს გამოცდა მათემატიკაში; სტ. ვასთიგიევი მიღებულია ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე უგამოცდოდ; ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე (ქართული სექტორი) უგამოცდოდ ჩარიცხულია სტუდენტი მიხ. კაპანაძე, რომელსაც დამთავრებული აქვს ბორჯომის მოზრდილთა საშუალო სკოლა 1941 წ. მაშინ, როდესაც „ფრიადოსნობის“ ატესტატი არ არის წარმოდგენილი და სტიპენდიას კი ღებულობს, როგორც „ფრიადოსანი“. სტ. თ. ბოლთაევას ატესტატი საქმეში არ აღმოჩნდ და სხვ.

2. ინსტიტუტში არ აღმოჩნდა დიპლომის ბლანკების მიღების აქტები. სარეგისტრაციო წიგნის ჩანაწერების მიხედვით გაცემულია 319 დიპლომი მაშინ, როდესაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან მიღებულია 363 დიპლომის ბლანკი. შევსებულია და ჯერ არ არის გაცემული 21 ცალი, შეუვსებელია 15 ცალი და დროებითი დიპლომის ბლანკი 1 ცალი. 1948 წ. 20 ნოემბერს კომისიას დაუწვავს 14 ცალი დიპლომის ბლანკი და 3 ცალი მუშფაკის დამთავრების ბლანკი. აქტში აღნიშნული არ არის იმ დიპლომების ნომრები, რომლებიც კომისიამ დასწვა. ინსტიტუტს არ გამოუთხოვია განათლების სამინისტროდან დიპლომების დაწვის ნებართვა. სარეგისტრაციო წიგნიც წესიერად არ არის წარმოებული. ხშირია შემთხვევა, რომ დიპლომი გატარებულია სარეგისტრაციო წიგნში, მაგრამ მიღებაზე ხელი არავის უწერია.

3. შემოწმებისას შეუძლებელი შეიქმნა იმის დადგენა, თუ რამდენჯერ იქნა 1948 წლის განმავლობაში მოწვეული სამეცნიერო საბჭოს სხდომა და რომელი საკითხების ირგვლივ რა ღონისძიება იქნა მიღებული.

გამოკვლევისას ნახული ორი ოქმი (№ 5 და № 10) ოდნავადაც არ ასახავს, თუ რა სურთ სამეცნიერო საბჭოს წევრებს, რით ასაბუთებენ თავიანთ წინადადებებს. ოქმი უწიგნურად არის დაწერილი. ამის გარდა არის სხვა ოქმიც, რომელიც ფანქრით და მელნით შავად არის ნაწერი, გაუფორმებელია და დაუმთავრებელი.

4. სტუდენტთა შორის სამეცნიერო წრეების მუშაობა სრულიად არადამაკმაყოფილებულია. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტი ორჯერ იქნა შესწაელილი (1948 წლის დეკემბერი და 1949 წ. იანვარი). ამ მხრივ დღემდე ჩატარებული მუშაობის შესახებ ინსტიტუტში არცერთხელ არ აღმოჩნდა არავითარი მასალა, გარდა 2 ფურცელზე დაბეჭდილი გეგმისა, რომლის მიხედვით ბოტანიკის კათედრის ხაზით დასახელებულია თემები, ვადა და შემსრულებელი. ქართულ სექტორზე (ამავე კათედრაზე) დასახელებულია თემები მხოლოდ 1948 წ. 20/III-დან და პირველი სემესტრი კი სრულიად არაა მიღებული მხედველობაში, ზოოლოგიის კათედრის ხაზით ჩამოთვლილია მხოლოდ თემები ზოგადად და ქიმიის კათედრის ხაზითაც მომხსენებლები და თემები, მაგრამ ფაქტიურად ჩატარებული მუშაობის შესახებ კვალი არ ჩანს.

5. არ ეწევა სათანადო ხელმძღვანელობა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას, რის შედეგად მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, მაგალითად, 1946 წ. ინსტიტუტის 52 პროფესორ-მასწავლებლიდან მხოლოდ 29 ეწეოდა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას, მაგრამ გეგ-

ბით გათვალისწინებული თემები შეასრულა მხოლოდ 10-მა; 1947 წელს 65 პროფესორ-მასწავლებლიდან საკვლევო-სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა 57, ხოლო დამტკიცებული თემა შეასრულა 15; 1948 წელს 71-დან მხოლოდ 39 ეწეოდა სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას და დამტკიცებული თემა შეასრულა 16 თანამშრომელმა. ვ. სანაკოევის სიტყვიერი განცხადებით „შესრულებული" თემებიდან ზოგიერთი შემოწმებისას ინსტიტუტში არ აღმოჩნდა (ლექტორი ბეგიაშვილი, გონაშვილი და სხვ.)

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის თემატიკაში ჯერ კიდევ სჭარბობს ისტორიული თემები. მაგალითად, 1948 წლის სამეცნიერო-საკვლევო თემატიკაში გათვალისწინებული 15 თემიდან მხოლოდ 3 თემაა თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე, ხოლო 1949 წლის სამეცნიერო-საკვლევო თემატიკაში თანამედროვე აქტუალურ პრობლემებს ეხება მხოლოდ—8 თემა.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ზოგიერთს სამეცნიერო-საკვლევო თემა ფორმალურად აქვს აღებული. მაგალითად, დოც. ვანეევს აღებული აქვს გარდამავალი თემა: „რეფორმის შემდგომი პერიოდის სამხრეთ-ოსეთის გლეხები", რომელიც დაუწყია 1941 წელს და დაუმთავრებია 1948 წ. ამ თემისათვის ასეთი დიდი დრო არ იყო საჭირო.

შესრულებული საკვლევო-სამეცნიერო შრომების გულდასმით რეცენზირება და გამოცემა დღემდე არ მომხდარა.

6. ინსტიტუტში არსებულ დოკუმენტებიდან და სტუდენტთა ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთი ლექტორი ყოველთვის არ ატარებს ლექციებს სრულყოფილად, გამართულად, რის შედეგად სტუდენტებს არ ეძლევათ ამა თუ იმ საკითხზე ნათელი და სწორი წარმოდგენა. მაგალითად, უფრ. მასწ. ვერხოსი იდეოლოგიის შესახებ სტუდენტებს მხოლოდ ასე განუმარტავს—„Идеология—это отражение действительности в сознании человека" ძირითადად იდეოლოგიის კლასობრივ ხასიათზე კი საჭირო დასკვნები არ გამოაქვს. დოც. ედელშტეინი მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის შესახებ ჩატარებულ ლექციაზე სათანადო ანალიზს ვერ უკეთებს პარტიის უმნიშვნელოვანეს დადგენილებებს ლიტერატურის შესახებ; კრიტიკის ესთეტიკური და იმპრესიონისტული სკოლის შეფასებისას ედელშტეინი სტუდენტებს ვერ აძლევს ესთეტიკური და იმპრესიონისტული სკოლის ბოლომდე ამომწურავ, საფუძვლიან კრიტიკას.

ლექტ. რევია თავის ლექციაში, როდესაც შეეხო 60 წლების რუსული ლიტერატურის დიდ დემოკრატებს, ჟურნ. „სოვრემენიკს", ერთი სიტყვითაც არ უხსენებია დიდი ქართველი მწერლების—ილიას, აკაკისა და სხვათა თანამეგობრობა და სხვა.

7. პედაგოგიური ინსტიტუტის მე-4 კურსებზე ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში პედაგოგიური პრაქტიკა მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. ე. სანაკოევას შემოწმებისას არ აღმოაჩნდა პედაგოგიური პრაქტიკის გეგმა და ცხრილი, კიდევ მეტიც,—ამხ. სანაკოევამ არ იცოდა, თუ როგორ მიმდინარეობდა პედაგოგიური პრაქტიკა; მისი განცხადებით პედაგოგიური პრაქტიკა შემოწმების პერიოდში დამთავრებული იყო და პრაქტიკის ხელმძღვანელები მათემატიკაში—დოც. ე. გეგელაშვილი და ფიზიკაში—დოც. ვ. ყიფშიძე თითქოს სტალინირში არ იმყოფებოდნენ, ნამდვილად კი ამხ. ე. გეგელაშვილი და ვ. ყიფშიძე პედაგოგიურ პრაქტიკას ატარებდნენ სკოლებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ მთელ რიგ დისციპლინებში პედაგოგიური პრაქტიკა არასწორად არის ჩატარებული, მაგალითად, IV კურსზე დოც. კ. დონაძეს ქართულ ლიტერატურაში პედაგოგიურ პრაქტიკაში 19 გაკვეთილიდან 4 ჩაუტარებია IX—X კლასებში, დანარჩენი გაკვეთილები კი V—VIII კლასებში, უფრ. მასწ. კ. გაჩეჩილაძეს ქართულ ენაში 23 გაკვეთილიდან მთლიანად ჩაუტარებია V—VIII კლასებში. ასევე უფრ. მასწ. სანაკოევმა რუსულ ენაში პედაგოგიური პრაქტიკა ჩაატარა მთლიანად V—VIII კლასებში, მასწ. ხრჟანოვსკიმ რუსულ ლიტერატურაში 54 გაკვეთილიდან 31 ჩაატარა VI—VIII კლასებში და სხვ.

ზოგიერთი კათედრის ხელმძღვანელს წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ როგორ უნდა უხელმძღვანელოს პედაგოგიური-პრაქტიკის ორგანიზაციას. მაგალითად, მსოფლიო და რუსულ ლიტ. კათედრის გამგეს ამხ. ედილშტეინს არ აღმოაჩნდა პრაქტიკის გეგმა და პრაქტიკის ჩატარებისას ადგილზე არ იმყოფებოდა, რაც იმით ახსნა, რომ ინსტრუქცია არა ჰქონდა და არც იცოდა, რომ არსებობდა.

ინსტიტუტის დირექციას განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელად დაუშვია რ. ჯიკაევა, რომელსაც დამთავრებული აქვს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცხოველეობის ფაკულტეტი და მუშაობას ვერ ართმევს თავს. ინსტიტუტში დღემდე არ არის მოწყობილი პედაგოგიური კაბინეტი.

8. სტუდენტების წერითი მეტყველება რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მეტად დაბალია; ისური სექტორის III კურსზე საკონტროლო წერითი სამუშაო შეასრულა 12 სტუდენტმა, აქედან დამაკმაყოფილებლად შესრულებულია მხოლოდ 3 და 9 არადამაკმაყოფილებელია. რუსუ-

ლი სექტორის IV კურსზე სამუშაო შეასრულა 18 სტუდენტმა. აქედან დამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო მხოლოდ 4, დანარჩენი კი შეფასდა „2“-ზე.

ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ქართულ სექტორზე (III კურსი) სტუდენტებს მიეცათ დავალება: გადმოეცათ მოთხრობა „შავარდენის“ მოკლე შინაარსი, რომლის ძირითადი მიზანი იყო შემოწმება, თუ რამდენად დაუფლებულნი იყვნენ სტუდენტები ქართულ ორთოგრაფიასა და პუნქტუაციას. წერითი სამუშაო შესრულებული აქვს სულ 15 სტუდენტს, მოცულობის მხრივ წერითი ნამუშევარის დიდი ნაწილი არ აღემატება რვეულის ერთ გვერდს. ამასთანავე დაშვებულია უხეში ორთოგრაფიული შეცდომები და ყველა ნამუშევარი შეფასებულია ნაშნით „2“.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ქართული ენის ცოდნის დაუფლების საქმეში ოსურ სექტორზე. ამ სექტორის III კურსზე საკონტროლო წერითი სამუშაო შეასრულა 16 სტუდენტმა და არც ერთი მათგანი არ არის დამაკმაყოფილებლად შეფასებული. სტუდენტები ქართული ენის სრულ უცოდინარობას იჩენენ, რაც იმითაც არის გამოწვეული, რომ ინსტიტუტის დირექცია არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას ქართული ენის სწავლებას. არ ამოწმებს ცალკე ფაკულტეტებზე ქართული ენის სწავლების მიმდინარეობას, არ სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის და ამ მიმართულებით არ აწარმოებს საჭირო მუშაობას.

დირექტორის მოადგილემ ე. სანაკოევამ არ შეასრულა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1946 წ. 15 იანვრის № 75 ბრძანება—ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ და უარყო ლექტორების სამართლიანი მოთხოვნა აღნიშნული ბრძანების შესაბამისად საჭირო კონკრეტულ ღონისძიებათა მიღების შესახებ; ინსტიტუტში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი. ქართულ ენაზე არ გამოდის კედლის გაზეთი, ხელნაწერი ჟურნალი და სხვ.

9. სტუდენტებში არ არის გამომუშავებული წიგნზე ინდივიდუალური, დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა, ბიბლიოთეკა არ ივსება ყველა საჭირო წიგნით, ხოლო წიგნადი ფონდი არ არის მოვლილი. ადგილი აქვს წიგნადი ფონდის განიავებას. კომისიის შემოწმებით ინსტიტუტის ბიბლიოთეკას აკლია 6000-მდე სხვადასხვა წიგნი.

10. ჩამსვლელი ლექტორებისათვის არ არის შექმნილი ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები, არადამაკმაყოფილებელ მდგო-

მარეობაშია სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, სასწავლო შენობაში არ არის გაყვანილი წყალსადენი.

11. ინსტიტუტის შენობა ჯერ კიდევ მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას, ღუმელები უვარგისია და აუდიტორია სათანადოდ ვერ თბება, საპროფესორო და დეკანატი მოუწყობელია, კლუბისათვის გამოყოფილი დარბაზი გამოუყენებელია იმის გამო, რომ სტუდენტების თავმოყრა საშიშია, რადგან მოსალოდნელია იატაკის ჩამტვრევა-ჩაწოლა, ეზო გაუმწვანებელია და შემოუღობავი, საერთო საცხოვრებელში რამდენიმე ოთახი და დერეფნის ნაწილი გამოყენებულია საწყობად და სხვ. აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორებისათვის ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. დაევალოს კათედრის გამგეებს:

ა) გადაჭრით გარდაქმნან მუშაობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მაღალი თეორიული და იდეურ-პოლიტიკური დონის მიღწევა სასწავლო-სამეცნიერო მუშაობაში. ყოველდღიურ მუშაობას საფუძვლად დაუდვან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება იდეოლოგიური საკითხების შესახებ;

ბ) გააძლიერონ სისტემატური კონტროლი ლექციებზე დასწრებით და მოაწყონ შედეგების კათედრის სხდომებზე განხილვა საჭირო ღონისძიებათა დასახვით;

გ) გადასინჯონ სამეცნიერო-საკვლევო თემატიკა იმგვარად, რომ კათედრის წევრების მიერ უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური მშენებლობების შესაბამისად აქტიური პრობლემების დამუშავება;

დ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ და აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება სადისერტაციო თემებზე მომუშავე ლექტორებს;

ე) სისტემატური ხელმძღვანელობა გაუწიონ სტუდენტთა სამეცნიერო წრეებს, გადასინჯონ სტუდენტთა სამეცნიერო წრეების თემატიკა იმ მიზნით, რათა წინასწარ მოფიქრებით, გეგმაშეწონილად გათვალისწინებულ იქნას სტუდენტთა კომუნისტური აღზრდისათვის აქტუალური საკითხები. განსაკუთრებული ადგილი დაუთმონ სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების უკანასკნელ მიღწევათა, მოწინავე მიჩურინული ბიოლოგიის პოპულარიზაციის, უცხოეთის კულტურის წინაშე მონური ქედმოხრის

წინააღმდეგ ბრძოლის, ბურჟუაზიული კულტურის შეურიგებელი კრიტიკის, საბჭოთა მოწინავე მეცნიერების პრობლემების განხილვას და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს ენისა და ლიტერატურის კათედრას:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქართულ, რუსულ და ოსურ ენებში ლექციების მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარებას. ამ მიზნით გაძლიერდეს ლექციების სისტემატური შემოწმება, კათედრის წევრების მიერ ლექციებზე ურთიერთ-დასწრება და შედეგების კათედრის სხდომაზე მოსმენა, ღონისძიების დასახვა;

ბ) უზრუნველყონ ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის შექმნა;

გ) გადაჭრით იქნას მიღწეული სტუდენტების ზეპირი და წერითი მეტყველების შემდგომი ამაღლება. ამ მიზნით გაძლიერდეს სტუდენტთა მიერ წიგნზე ინდივიდუალური, დამოუკიდებელი მუშაობა. ქართულ, რუსულ და ოსური ენების სწავლების საქმეში პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა-ჩვევის მტკიცე მოთხოვნა და გადაჭრით იქნას აღმოფხვრილი ცოდნის შეფასებისადმი დღემდე არსებული ლიბერალიზმი;

დ) სტუდენტთა წერითი და ზეპირი მეტყველების გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით განუხრელად გატარდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1946 წ. 15 იანვრის № 75 ბრძანებით დასახული ღონისძიებანი.

3. დაევალოს პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორსა და მის მოადგილეს სასწავლო-სამეცნიერო ნაწილში:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სამეცნიერო საბჭოს მუშაობა; გულდასმით განიხილონ ინსტიტუტის წლიური და სემესტრული გეგმები, წინასწარი შემოწმების საფუძველზე ფაკულტეტების და კათედრების საანგარიშო მოხსენებები, სისტემატურად მოისმინონ მოხსენებები სასწავლო-მეთოდურ საკითხებზე, განაზოგადონ ფაკულტეტებისა და კათედრების გამოცდილებანი. საფუძვლიანად განიხილონ სამეცნიერო საკვლევო მუშაობის თემატიკა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე პროფესორ-მასწავლებელთა ჩაბმას;

ბ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა სასწავლო გეგმების, პროგრამების მაღალხარისხოვნად შესრულებაზე; სასწავლო-მეთოდური და საკვლევო-სამეცნიერო მუშაობაზე ცალკეულ ფაკულტეტებსა და კათედრებზე, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო კონფერენციებზე:

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას, ლექციების იდეურ დონეს, ლაბორატორიებისა და კაბინეტების მუშაობას; პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას;

დ) უზრუნველჰყონ პედაგოგიური პრაქტიკის გავლის საერთო-საინსტიტუტო გეგმა—გრაფიკის შედგენა და განუხრელად განხორციელება;

ე) პედაგოგიური პრაქტიკის შესახებ საბუთების სათანადო გაფორმება;

ვ) პედაგოგიური პრაქტიკის საერთო მეთოდური ხელმძღვანელობა და კონტროლი;

ზ) კათედრების სამეცნიერო-მეთოდური გამოცდილების სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განხილვა, განზოგადოება და საჭირო ღონისძიებათა დასახვა, პედაგოგიური კაბინეტის შექმნა და სხვ.

ფაკულტეტის დეკანებმა განუხრელად დაიცვან პედაგოგიური პრაქტიკის ინსტრუქციით გათვალისწინებული ვალდებულება,—დაესწრონ არა ნაკლებ 5 საცდელ გაკვეთილს, მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში და კონტროლი გაუწიონ პრაქტიკის მსვლელობას და წარუდგინონ დირექციას ანგარიში შედეგების შესახებ.

კათედრების გამგეებმა უზრუნველჰყონ:

ა) პედაგოგიური პრაქტიკის სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა;

ბ) ჯგუფის ხელმძღვანელთა მუშაობის კონტროლი;

გ) პედაგოგიური პრაქტიკის სამუშაო პროგრამების დამუშავების დავალებათა და რეფერატების შედგენის ხელმძღვანელობა;

დ) პედაგოგიური პრაქტიკის მსვლელობის კონტროლი;

ე) გაკვეთილებზე დასწრება და მათს განხილვაში მონაწილეობა.

4. წინადადება მიეცეს ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ზ. ჯიოევს:

1. ორი კვირის განმავლობაში დააზუსტოს სტუდენტთა პირადი საქმე; დაუყოვნებლივ გარიცხოს ინსტიტუტიდან მიღების წესის უხეშად დარღვევის შედეგად ჩარიცხული სტუდენტები და დასახოს საჭირო ღონისძიებანი მსგავსი შემთხვევების შემდეგში აღსაკვეთად.

2. ორი კვირის განმავლობაში დააზუსტოს დიპლომების გაცემის სისწორე და სათანადო ანგარიში წარმოადგინოს განათლების სამინისტროში.

3. პასუხისგებაში მისცეს ინსტიტუტის წიგნადი ფონდის განიავებაში კონკრეტულად დამნაშავე პირი და უზრუნველჰყოს ა. წ.

30 იანვრამდე წლების განმავლობაში სხვადასხვა პირის მიერ წაღებული წიგნების დაბრუნება.

4. დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს რ. ჯიკაევა სამუშაოდან, რომელიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებით არ არის დანიშნული.

5. ამთავითვე უზრუნველჰყოს წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება ინსტიტუტის ეზოს გამწვანებისათვის.

6. პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შენობაში დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს ოთახები და დერეფნის ნაწილი, რომელიც გადაქცეულია საწყობებად და გამოიყენოს ის დანიშნულებისამებრ.

7. უმაღლესი სკოლისა და პედსასწავლებლის განყოფილებამ გადასინჯოს ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, უზრუნველჰყოს კვალიფიციური კადრების ადგილზე მიმაგრება, დასახოს ღონისძიებანი ასპირანტურის საშუალებით ადგილობრივი სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის.

8. დაევალოს საქ. სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას, რათა არა უგვიანეს ერთი თვისა, შეადგინოს ინსტიტუტის შენობის კაპიტალური რემონტისა და შემოღობვისათვის საჭირო პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა.

9. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მატერიალური ფონდის სამმართველოს: სტალინირის პედინსტიტუტის საერთო საცხოვრებლისათვის გამოყოს 100 ცალი საწოლი-კომპლექტი, ამასთან 30 ცალი გრაფინი, 40 ცალი ელნათურა, 60 კილგრ. საწერი ქაღალდი, რუკები, პლაკატები ინსტიტუტის მოთხოვნის შესაბამისად.

10. აღინიშნოს, რომ სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექცია არ აქცევდა ყურადღებას ქართული ენის სწავლებას და არ სახავდა საჭირო ღონისძიებას ქართული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად.

11. დაევალოს უმაღლესი სკოლისა და პედაგოგიური სასწავლებლის განყოფილებას შეარჩიოს სტალინირის პედინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე სასწავლო-სამეცნიერო ნაწილში შესაფერისი კანდიდატი და წარმომიდგინოს დასამტკიცებლად არა უგვიანეს 15 იანვრისა.

12. ეს ბრძანება განხილული იქნას ყველა უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი ვ. კუპრაძე.

ვამტკიცებ.
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე.**
1948 წ. 22 დეკემბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

საბავშვო ბაღებში პირველადი აღრიცხვის ფორმების შევსების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მოცემული პირველადი აღრიცხვის ფორმები სავალდებულო წესით შემოღებული უნდა იქნეს საბავშვო ბაღებში 1948 წლიდან.

ფორმა № 1 (განცხადება)

საბავშვო ბაღებში ბავშვების მიღება უნდა ფორმდებოდეს დადგენილი ნიმუშის განცხადების შეტანით.

ეს მისცემს საბავშვო ბაღს საშუალებას უფრო ორგანიზებულად მიიღოს ბავშვები და დროულად შეაგროვოს ძირითადი ცნობები მშობლებისა და ბავშვების შესახებ.

განცხადების ფორმას მშობლებს აძლევს საბავშვო ბაღის გამგე ან შემცვლელი პირი.

განცხადება და ცნობები ინახება თითოეული ბავშვის პირად საქმეში.

ფორმა № 2 (საბავშვო ბაღის ბავშვთა აღრიცხვის წიგნი)

წიგნის დანიშნულებაა ბავშვებისა და მშობლების შესახებ სრული ცნობების რეგისტრაცია და საბავშვო ბაღში ბავშვთა მოძრაობის კონტროლი.

წიგნს ავსებს საბავშვო ბაღის გამგე შემოტანილ განცხადებისა და საბუთების საფუძველზე.

ბავშვების წლოვანება ჩაიწერება დაბადების საბუთის საფუძველზე. ყოველ წელს, ბავშვების სკოლისათვის გადაცემის და ახლად მიღების მომენტისათვის (25 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე) გამგე ვალდებულია შეაჯამოს წლის განმავლობაში მიღებულ და გასულ ბავშვთა რაოდენობა.

15 სექტემბრისათვის უნდა იქნეს შედგენილი საბავშვო ბაღში დარჩენილ ბავშვთა სია და შეივსოს ახლად მიღებულ ბავშვებით.

ფორმა № 3 (ბავშვთა ყოველდღიური სწრებადობის აღრიცხვა)

საბავშვო ბაღში ბავშვთა ყოველდღიურ სწრებადობაზე პასუხისმგებელია ჯგუფის აღმზრდელი, რომელიც ვალდებულია ყოველ დღე აღნიშნოს აღრიცხვის ფურცლის საათანადო გრაფაში. დაუსწრებლობა აღინიშნება „არ"-ით.

თვის ბოლოს ჯგუფის ხელმძღვანელის ძიერ ხელმოწერილი აღრიცხვის ფურცელი ჩაბარდება საბავშვო ბაღის გამგეს და ინახება დაწესებულების საქმეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 4 (საბავშვო ბაღის პერსონალის აღრიცხვა)

მოცემულ ფორმას ავსებს საბავშვო ბაღის გამგე პერსონალის მიერ წარმოდგენილ წლოვანების, განათლების, სტაჟის, პარტიულობის, ოჯახური მდგომარეობის და კვალიფიკაციის ამაღლების საბუთების საფუძველზე.

მომსახურე პერსონალის მიმართ გრაფა „6"-ში ნაჩვენები იქნება საერთო მუშაობის სტაჟი, ხოლო გრაფა „7"-ში მათ შორის აღინიშნება ამ საბავშვო ბაღში მუშაობის სტაჟი.

ამ აღრიცხვის ფორმის დროული და ზუსტი შევსება უზრუნველყოფს მომუშავეთა შემადგენლობის აღრიცხვას და ტარიფიკაციისათვის საჭირო ცნობებს.

ფორმა № 5 (საბავშვო ბაღის ჯგუფის ბავშვების სია).

ჯგუფის ბავშვების სიას ადგენს ჯგუფის აღმზრდელი. წლის განმავლობაში მიღებულ ბავშვების მიხედვით და დროულად აღნიშნავს ჯგუფიდან გასვლას.

ბავშვების ჯგუფიდან ჯგუფში გადაყვანის, სკოლისათვის გადაცემის და ახლად მიღების მომენტისათვის (25 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე), აღმზრდელი ვალდებულია შეავსოს მე-7 და მე-8 გრაფები, აჩვენოს თითოეული ბავშვის შესახებ, ვინ არის გადაყვანილი შემდეგ ჯგუფში ან სკოლაში, ვინ არის დატოვებული იმავე ჯგუფში.

მე-3 და მე-4 გრაფაში თითოეული ბავშვის პირდაპირ დაისმის „1", რაც მისცემს ქალებისა და ვაჟების რაოდენობის დაჯამების საშუალებას.

ბავშვების სია და ჯგუფიდან ჯგუფში მოძრაობა წლის განმავლობაში, ჯგუფის აღმზრდელის ხელმოწერით გადაეცემა საბავშვო ბაღის გამგეს დასამტკიცებლად.

საერთო მითითებანი

საბავშვო ბაღისათვის მოცემული პირველადი აღრიცხვის ფორმები, აუცილებლივ შევსებული უნდა იქნეს ყველა მაჩვენებლის მიხედვით მელნით, სუფთად და გარკვეულად.

ყოველგვარი შესწორება და წაშლა აკრძალულია. ყველა წიგნი უნდა იქნეს ზონარ-გაყრილი და დანომრილი.

საბავშვო ბაღში შევსებული პირველადი დოკუმენტაცია ყოველმხრივ მოწესრიგებული უნდა ინახებოდეს გარკვეულ ადგილას.

საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს
სკოლამდელი აღზრდის
განყოფილება

ფორმა № I

ვამტკიცებ.
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.
1948 წ. 22 დეკემბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ მიიღოთ საბავშვო ბაღში ბავშვი .....

.....

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

დაბადებული _____ წლის _____ თვის _____ რიცხვში

ეროვნება _____

დედა _____ მუშაობს _____

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

ა ა _____ მუშაობს _____

.....

(გვარი, სახელი და მამის სახელი)

(თან ერთვის ცნობები მამისა და დედის მუშაობის ადგილებიდან, რომელშიაც ნაჩვენები იქნება წარმოება, დაწესებულება, თანამდებობა და თვიური ხელფასი).

ბავშვთა საერთო სულადობა ოჯახში _____ (დამოუკიდებლად ასაკისა).

კმაყოფაზე მყოფ სულთა რაოდენობა _____ (სახლმართველის ცნობაში აღნიშნული უნდა იყოს ვინ ითვლება კმაყოფაზე).

ბავშვი გადმოყვანილია ბაგიდან, საბავშვო ბაღიდან

(მისამართი) _____

ბინის მისამართი და ტელეფონის № _____

.....

ხელის მოწერა

ფორმა № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს
სკოლამდელი აღზრდის
განყოფილება

ვამტკიცებ.
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.
1948 წ. 22 დეკემბ.

ᲐᲚᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲬᲘᲗᲜᲘ

საბავშვო ბაღი № _____

_____
(საბავშვო ბაღის დასახელება)

№№ რიგზე	ცნობები ბავშვებზე			ცნობები მშობლებზე									
	გვარი, სახელი მამის სახელი	წლოვანება, დაბადების წელი თვე და რიცხვი	ეროვნება	გვარი, სახელი, მამის სახელი		სად მუშაობს		რა თანამდებობაზე მუშაობს		ბინის მისამართი და ტელეფონის №	რომელი ორგანიზაციის მიერ იყო ბავშვი გამოგზავნილი	როდის იყო მიღებული ბავშვი ბალში და საიდან (ოჯახიდან, ბაგიდან ბალიდან)	როდის და რა მიზეზით გავიდა საბავშვო ბალიდან
				დედა	მამა	დედა	მამა	დედა	მამა				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1													
2													
3													
4													
5													
6													
7													
8													

სულ წლის განმავლობაში;
მიღებულია
გასულია

ფორმა № 3

ვამტკიცებ.
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.
1948 წ. 22 დეკემბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს
სკოლამდელი აღზრდის
განყოფილება

ბავშვთა ყოველდღიური სწრებადობის აღრიცხვა

საბავშვო ბაღი _____ ჯგუფი _____
(საბავშვო ბაღის დასახელება)

194——194——წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რ. რ.	ბავშვების გვარი და სახელი	რაოდენობა		წლოვანება (დაბადების წელი, თვე და რიცხვი)	მისამართი ტელეფონი, ან მშობლების სამსახურის ტელეფონის №	რიგის და საიდან არის მიღებული ჯგუფში (სხვა ჯგუფიდან, საბავშვო ბაღიდან, ბავშვიდან).	რიგის და სად წავიდა (სხვა ჯგუფიდან, სკოლაში, საბავშვო ბაღში, ოჯახში).
		ქალი	ვაჟი				
1	2		4	5	6	7	8

ფორმა № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს
სკოლამდელი აღზრდის
განყოფილება

ვამტკიცებ.
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.
1948 წ. 22 დეკემბ.

პერსონალის აღრიცხვა

საბავშვო ბაღის № _____
(საბავშვო ბაღის დასახელება)

№№ რიგზე	გვარი, სახელი მამის სახელი	წლოვანება, დაბადების წელი, თვე და რიცხვი	ეროვნება	განათლება როდის და რა სასწავლებელი დაამთავრა, მოწმობის №	მუშაობის სტაჟი		პარტიულობა	განაკვეთი	ოჯახური მდგომარეობა (ოჯახის შემადგენლობა)	ბინის მისამართი და ტელეფონის №	როგორ იმსახურებს ქვალიფიკაციას (დაუსწრებელი სალამის სწავლების კურსები, ინსტიტუტი).	საბ. ბიჭში მუშაობის დაწყების დრო	საბავშვო ბაღიდან განთავისუფლების დრო და მიზეზი.
					საერთო პედაგოგიური	მათ შორის სკოლამდელი ხაზით							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს
სკოლამდელი აღზრდის
განყოფილება

ფორმა № 5

ვამტკიცებ.
საქართვველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.
1948 წ. 22 დეკემბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავშვების სია

საბავშვო ბაღი № _____
(საბავშვო ბაღის დასახელება)

ჯგუფი _____

ბავშვების გვარი და სახელი	დასწრების დღეები (თვის რიცხვები)																													სულ გაცდენილი დადგენილის ოდენობა	საბავშვო ბაღში გამოცხადებლობის მიზეზი (ექიმის ცნობა)
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29		

სულ გამოცხადდა: ჯგუფის ხელმძღვანელი (ხელის მოწერა)

პ/მგ. რედაქტორი მ. ბურჭულაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს № 2 სტამბა. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.
უე01549. ტირაჟი 2.000. შეკ. № 284.